

**მოკლე აღწერა:** ვილი, რომელსაც დღის გეგმები უკვე გაწერილი ჰქონდა, მოულოდნელად პროფესორისგან დავალებას მიიღებს, რომლის მიხედვითაც მან ერთ-ერთი წიგნის კონკრეტული თავი უნდა წაიკითხოს. ეს კი მისთვის ახალი ხილია. ვილი მიხვდება, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასთან ინტენსიურად უნდა საქმე.

**ავტორი:** პარასკევია . ნომერ პირველ აუდიტორიაში მიმდინარე ლექცია დასასრულს უახლოვდება. ვილი ბოლო რიგში ზის და ნელ-ნელა ალაგებს თავის საგნებს. იმის მოლოდინი, რომ შაბათ-კვირას ცოტა დაისვენებს, ნაკლებად აქვს.

**დოცენტი:** – ძალიან გთხოვთ, არ დაგავიწყდეთ პირველი სამი თავის წაკითხვა ნიკოლაუს შპაკ დოლტის – „შესავალი ესპანური მორფოლოგიის“.

**ვილი:** – ოჰ! მაგარია რა!... ახლა ნიკოლაუსი ვეძებო!...საიდან მოვიტანო? ჰმ...აქეთ, წინ რაღაც იყო წიგნების მსგავსი...უი! რა მაგარია! მგონი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას მივაგენი!

**ბიბლიოთეკის თანამშრომელი:** – მოითმინეთ! აქ გაჩერდით თუ შეიძლება! პალტოთი და ჩანთით ბიბლიოთეკაში შესვლა აკრძალულია. თქვენი ნივთები, შეგიძლიათ გარდერობში, ინდივიდუალურ უჯრაში\* ჩაალაგოთ. გარდერობი, სადაც წიგნები გააქვთ, იმის წინ დებარეობს.

**ვილი:** – უი არ ვიცოდი...აჰ! აქ ხურდა ფულია საჭირო... ორი ევრო?... მოიცა ვნახო თუ მაქვს საერთოდ..

– ოჰ... უკაცრავად! შეგიძლიათ ფული დამიხურდავოთ?

**სტუდენტი:** – კი კი შემოიძლია...აგერ ინებეთ.

**ვილი:** – დიდი მადლობა.

.....

**სტუდენტი:** – უკაცრავად! მე ვცდილობ კონცენტრირება მოვახდინო და შენ აქ ტელეფონზე ერთობი, სამკითხველო დარბაზში. იქნეთ გამოიჩინოთ თავაზიანობა და მუსიკას ცოტა ჩაუწიოთ? ბიბლიოთეკაში სიწყნარე უწდა იყოს და არა მუსიკა, მობილურზე საუბარი ან ჭორაობა. ბოლოს და ბოლოს აქ ხალხი მუშაობს და კონცენტრირება ჭირდებათ.

**ვილი:** – გასაგებია კი ბატონო! ჰმ!... ახლა საით უნდა ვიპოვო ეს განყოფილება?...ჯავა–პროგრამები! – ეს სფერო არ მინდა...სულაც ვკითხავ ვინმეს. – უკაცრავად!

**ბიბლიოთეკის თანამშრომელი:** – გისმენთ!

**ვილი:** – უკაცრავად, მე ვეძებ წიგნს ესპანურისთვის...ნიკოლაუს ჰმ...ნიკოლაუს შპაკ დოლტსი?

**ბიბლიოთეკის თანამშრომელი:** – ესპანურს თუ მეკითხები, მაშინ აქ შეცდომით ხარ. ბიბლიოთეკას ბევრი განყოფილებები აქვს. მაგ: აქ უნივერსიტეტის ტბასთან, საბუნებისმეტყველო საგნების განყოფილებაა: ფიზიკა, ინფორმატიკა და მათემატიკა. ზემოთ, გორაკზე, შადრევნებთან სოციალურ–მეცნიერებათა განყოფილებაა და ნახავთ: ფსიქოლოგიურ, იურიდიულ და ეკონომიკური სექტორის ლიტერატურას. და მანდვე, გორაკზე; დიდ კიბეებთან არის ცენტრალური ბიბლიოთეკა, სადაც სხვა დანარჩენ ლიტერატურას იპოვი, მაგ: წიგნებს ენათმეცნიერებაზე. თუ, წიგნი ესპანურ ენაზე გსურს, მაშინ იქ უნდა მიხვიდე. სხვათაშორის, იქ საინფორმაციო სალაროცაა და თუ რაიმე შეკითხვა გაგიჩნდება, მიაკითხე.

**ვილი:** – მადლობა! ასეც ვიზამ! ... უფრო ჰკვიანური იქნება, ავდგები და პირდაპირ ვკითხავ...

– უკაცრავად, შეგიძლიათ მითხრათ სად ვიპოვი ნიკოლაუს შპაკ დოლტსის – შესავალი ესპანური მორფოლოგიის?

**საინფორმაციო სალაროს თანამშრომელი:** – თქვენ ალბათ არ ყოფიხართ ბიბლიოთეკის ღია კარის დღეს. ყოველი სემესტრის დასაწყისში, წარვუდგენთ ახალ სტუდენტებს ბიბლიოთეკას და ვაცნობთ, მოხმარების წესებს. ვუტარებთ პარატა ექსკურსიასაც და ვუჩვენებთ ყველაფერს, რაც მათ უნდა იცოდნენ. ამ შეხვედრებს, ინტერნეტშიც ნახავთ და დაფაზეც არის გამოფენილი, მაგრამ ერთხელ კიდევ აგიხსნით: ჩვენ გვაქვს ელექტრონული სისტემა, რითაც ქვენთვის სასურველი წიგნის მოძებნა შეგიძლიათ. ამ სისტემას ეწოდება – OPAC\* და უპრობლემოდ, ჩვენს ვებ გვერდზე – [www.bibliothek.uni-augsburg.de](http://www.bibliothek.uni-augsburg.de) იპოვნით. სისტემაში ჩაწერთ სასურველი წიგნის სათაურს, ან ავტორის სახელს... აი! ხედავთ? მოვიდა შეტყობინება, ეს წიგნი არის თუ არა ბიბლიოთეკაში და კერძოდ სად. ნიშანი – 66/IM და შემდეგ ნომერი – 4450 ნიშნავს, რომ თქვენ 66/IM თაროზე, № 4450 წიგნი უნდა მოძებნოთ. აქ ყველგან ნახავთ მიმართულების ნიშნებს, თარო რომ მოძებნოთ.

**ვილი:** – ეს ძალიან ადვილი ყოფილა! ... ახლავე შევუდგები მოძებნას!

**სტუდენტი 1:** – OPAC – ი.. ძალიან მნიშვნელოვანია უნივერსიტეტისთვის, რომ კაცმა ნახოს კონკრეტული წიგნი არის თუ არა ბიბლიოთეკაში.

**სტუდენტი 2:** – კარგი რა აქვს OPAC –ს? რომ ძებნა შეზღუდულ, ანუ უფრო კონკრეტულ კრიტერიუმებში შეიძლება მოახდინო... სხვა შემთხვევაში იქნებოდა გრძელი ჩამონათვალი. მაგრამ როცა ძებნაში :ანგლიკანურს: ჩაწერ, მიიღებ უფრო მოკლე და კონკრეტულ საძიებო ჩამონათვალს. რაც ვფიქრობ რომ ძალიან კარგია.

**ვილი:** – აა! აი მიმართულების ნიშანი.. ეს ისეა როგორც განძის ძებნისას.. თარო 66... აჰა ვიპოვე...

– გამარჯობათ კიდევ ერთხელ.. აი ეს წიგნი მინდა გავიტანო..

**ბიბლიოთეკის თანამშრომელი:** – შაბათ–კვირისთვის წიგნების გატანა 15:00 საათიდან იწყება.. ანუ ერთ 15 წუთში. ოღონდ გთხოვთ, რომ დროულად ჩავვაბაროთ უკან. ანუ ამ შემთხვევაში ეს წიგნი ორშაბათს 10 საათამდე შეგიძლიათ გქონდეთ...ჩვენ ვცდილობთ რომ წიგნები ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით ბიბლიოთეკაში გქონდეს, რომ შეძლებისდაგვარად ყველა მსურველმა მოიხმაროს. შუა კვირაში წიგნის გატანა მხოლოდ 20:00 საათიდან მეორე დღის 10:00 საათამდე შესაძლებელია. შაბათ –კვირას ნაკლებად არიან სტუდენტები და ამიტომ შესაძლებელია პარასკევის 15:00 საათიდან ორშაბათის 10:00 საათამდე გაიტანოთ წიგნი....ახლა თქვენი თქვენი სტუდ–ბილეთი თუ შეიძლება.

**ვილი:** – აჰ მოითმინეთ... აგერ ინებეთ.

**ინფორმატორი:** – გმადლობთ.. სხვათაშორის, თუ წიგნის გამოტანა სხვა ბიბლიოთეკიდან მოგიხდათ, რადგან აუგსბურგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას არ გააჩნია, ამ შემთხვევაში ეს წიგნი ერთი თვის განმავლობაში შეგიძლიათ გქონდეთ.

**ვილი:** – კარგია რომ ვიცოდე..

**ინფორმატორი:** – კი ეს ძალიან პრაქტიკულია.. ანდაც ჟურნალების ელექტრონული ბიბლიოთეკა.. **EZB\*** (გერმანული აბრევიატურით– ელექტრონული ჟურნალების ბიბლიოთეკა), არ ვიცი ეს გამოგიყენებია თუ არა, მაგრამ აქ სამეცნიერო სფეროს ჟურნალებია ხელმისაწვდომი.. თანაც ონლაინით, სახლიდანაც მოსახერხებელია.

**ინფორმატორი:** – მოკლედ სულ ეს იყო! აბა! მომავალ შეხვედრამდე.

**ვილი:** – უღრმესი მადლობა. აჰა შაბათ–კვირაც მოვიდა... ფართი.. დასვენება.. ყველაფერი იქნება.. წაკითხვას კვირა დღესაც მოვასწრებ...

...ბიბლიოთეკის ჯარიმა!.... ოჰ ჯანდაბა!.. დამავიწყდა ორშაბათს წიგნი რომ უნდა ჩავაბარო... ეს სამი თავიც წასაკითხი მაქვს... ეს როგორც ჩანს ახლა ერთ ღამეში უნდა მოვასწრო..!

....

– ცოტა ვისაუზმოთ და ჰაიდაააააა!!! უნივერსიტეტში წიგნი ჩავაბარო.

... ერთი საფეხურიც! აჰა! მოვასწარი... უი? სამუშაო საათები: ორშაბათი  
პარასკევი– 08:30–დან 24:00 საათამდე... შაბათი–09:30–დან 24–საათამდე.. და  
დღეს?.. დღეს კვირააააააააა!!!!!!

---

**შენიშვნა:**

\*ინდივიდუალურ უჯრა - ნივთების შესანახად. ორი ევროს მონეტა, ნივთების  
გატანის შემთხვევაში უკან დაგიბრუნდებათ.

\*OPAC– უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საძიებო პროგრამის აბრევიატურა. სრული  
სახელწოდება – Online Public Access Catalog.

---

**ავტორები:** ლაურა იავორეკი და ტობიას შტაუნერი

**Übersetzt von**  
Natia Tsikelashvili